სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება № 07-01/28

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის და ბსუ-ს წესდების მე-10 და 33-ე მუხლების, ,,2022 წლის ნოემბერში ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ასარჩევი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N01-02/243 ბრძანების,** ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N01-02/244 ბრძანების,** ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის, საბჭოს სპიკერისა და მდივნის არჩევის თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 09 ნოემბრის N07-01/50 გადაწყვეტილების,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის 2025 წლის 18 სექტემბრის N1172491 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 29 სექტემბრის N1244412 და 2025 წლის 16 ოქტომბრის N1359408 სამსახურებრივი ბარათების, ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N01-02/184 ბრძანების** და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/08, 20.10.2025) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი ქათამაძე) ნაცვლად ახალი წევრის ასარჩევად 2025 წლის **16 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ცნობილი იქნეს** წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრის - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ **მურმან ცეცხლაძის** უფლებამოსილება (2022 წლის 14 ნოემბრიდან 4 წლის ვადით არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს დარჩენილი ვადით, 2025 წლის 16 ოქტომბრიდან 2026 წლის 14 ნოემბრამდე).
2. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, სტუდენტურ თვითმმართველობას, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**